ნინელა
№7, 2012
108-ე
ალბომი



ბესიკ კეკელიძე

შეგონება

ცაფართალა ღრუბლებს მწყემსავს
ჩემი ლექსი თქვენთვის თქმული,
ასო-ასო ფურცელს კემსავს
უწრფელესი სიყვარულით.

ნოდარიკოს თუ ნიკუშას,
თამუნიას თუ გივიკოს,
თეკლე გოგოს თუ ანუშკას,
მარიკელას თუ ნინიკოს!

სიტყვით მინდა მოგეფეროთ,
აიაზმანავკურები
საქართველოს შვილები ხართ,
წმინდა ენით ნაკურთხები.

თვალნათელა ანგელოზნო,
სავალ გზაზე მადლი თესეთ,
წაქცეულებს შეეშველეთ,
დაეუნეთ მყარად ფეხზე.

გაუფრთხილდით მიწას თქვენსას,
ვით დედიკოს ერთადერთსა,
არვის მისცემ დასაჯიჯგნად,
ემსახურეთ მაღალ ღმერთსა.

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

ბონდო მაცაბერიძე

ზღაპრები თეკლა-გოგოზე

(პირველი ზღაპარი)

არც რა იყო არაფრისა, არც რა ჰქონდათ არაფრისი, ამბავ იყო ზღაპრად თქმული, ამ ცისა და ამ ბარისი.

გოგო იყო ერთი, თეკლა ერქვა გოგოს.

ერთ დღეს დედამ თეკლა-გოგოს პატარა სარკე უსახსოვრა.

გაიხარა თეკლა-გოგომ;

იჯდა, სარკეს ჩასცქეროდა, იდგა – სარკეს ჩასცქეროდა. ხან აქეთ გადაიყრიდა თმებს, ხან იქით. ხან ნახშირის მურით მოითხვრიდა ლოყას, ხანაც ყვავილების ნაირფერი მტვერ-საცხებ-ლით ითხუპნიდა სახეს.

ვინ რასა და, უხდებოდა კია კოკობზიკობა თეკლა-გოგოს.

– მეც მინდა სარკე, მინდა თეკლასავით ლამაზი ვიყოო! – გაეცრემლა ერთ დღეს ბარტყი ჩიტ-ცაცოს.

– რას ამბობ, შვილო, სარკე რა ჩიტების საქმეა, აგე, რუ, მიდი და ჩამზირე რამდენიც გენებოსო, – უთხრა დედა ჩიტმა ბარტყს.

– არა, ის სარკე მინდა, თეკლა-გოგოს რომ აქვს, მეც ხომ ლამაზი ბუმბული მაქვსო! – არ იშლიდა ბარტყი.

მაშინ, დედა ჩიტმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და თეკლა-გოგოს სარკე ცხვირწინ ააცალა.

მორთო თეკლა-გოგომ ტირილი, როგორ-როგორი?!.

აქ კი, ადგნენ ტოლ-კუკნები და საცა კი რამ სარკე ჰპოვეს, სულ ერთიანად დაულაგეს წინ თეკლა-გოგოს.

თეკლა-გოგომ კიდევ:

– არა, არა, არაო, მე ჩემი სარკე მინდაო!

აქ რომ თეკლა-გოგო ამ დღეს ჰმართობს, აბა, ერთი, იქა ნახეთ;

ჩაუდგამს ბარტყს ბუდეში ამ ჩვენი თეკლა-გოგოს სარკე და ხან აქეთ გადაიყრის ბუმბულს, ხან – იქით, ხან ბლის კუნწულებს ჩამოიბამს ნისკარტზე, ხანაც ყვავილების ნაირფერი ფურ-ცლებით რთავს სარკეს.

მერე დღემაც გადიდღისა, გაჰყვა თეკლას დარდი ცისა.



*

მერმე დღისით მოეამბნათ ჩიტ-დობილებს დედა ჩიტისთვის თეკლა-გოგოზედ; აგრე სჭირს და აგრე მართობსო, ადექით და დაუბრუნეთ თქვენაც სარკეო!

– მოდი, დავუბრუნოთ სარკე თეკლა-გოგოს, მასაც ხომ უნდა თავისი სარკეო, – უთქვამს დედა ჩიტს შვილისთვის.

გაბუსხვია ბარტყი დედას:

– არა!

– კი!

და...

– არა, მეო! თეკლას კაბა, სარკე მეო!

– აბა, ახლავე მომეცი, რომ გეუბნებიო!..

– აჰა, წაუღე, რა გეგონა, მართლა არ მივცემდი?!

თქვა ბარტყმა და სარკე გვირილიანში მოისროლა.

მოისროლა და, ახლა გვირილები ნახეთ; გაემართათ მათაც ერთი ბასტი-ბუბუ;

– ჩქარა აქეთ, აქეთ, ნახეთ როგორ მგავს ეს გვირილაო! – ამბობდა გვირილა მიამცისა და მეზობელ გვირილებს მოუხმობდა, – მოდით, ნახეთ, ნახეთ, ეს ჩემი ტყუპისცალი არისო!

წაიგრძელეს გვირილებმაც კისრები და ერთიანად ჩამზირეს სარკეს:

– ნახეთ, მეც როგორ მგავს! – წამოიძახა გვირილა გუმბისთალმაც.

– მეც!

– მეც!

– მეც!

– მეცო! – იძახდნენ გვირილები და სარკეში მონაცვლეობით ესალმებოდნენ თავიანთ ტყუპისცალებს.

– მოდით, დღეიდან ყველამ აქ ვითამაშოთ და სულ ერთად ვიყოთ! – უთხრა გვირილა მიამცისამ გვირილებს და სარკეს სხივი მიამზირა.

– აგე, ვიპოვეთ, ვიპოვეთ! – იძახდნენ სარკის საძებრად გვირილიანში გასული ტოლკუკნები და თეკლა-გოგოს სარკეს სიხარულით მიურბენინებდნენ.

*

– აბა ერთი, თეკლა-გოგოსთვის არ მიეტანა თავის დედას სარკე, იმასაც ნახავდით, რა დღესაც დაიწევდა ის თქვენი თეკლა-გოგოო?! – უთხრა ჩიტ-ცაცომ ბუდეებზე გადმომსხდარ მეზობლებს და თავის ბუდეს მიაშურა.

მხატვარი
რუსუდან ყიფიანი

მოგზაურობა ისტორიაში

გაჰყევი ისრებს და შეაგროვე ასოები. თუ სწორად უპასუხებ, სწორი მიმართულებით წახვალ და მიიღებ საკვანძო სიტყვას.

ნ

ვახტანგ გორგასალი 25 წლის ასაკში გამეფდა.

 კი

თ

თამარ მეფე დავით აღმაშენებლის შვილი იყო.

არა

ვ

ფარსმან II-ს სიმამაცისთვის ქველი ეწოდა.

კი

ა

თამარ მეფის საფლავის ადგილ-სამყოფელი დღემდე უცნობია.

რ

კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სამასი არაგველი.



ე

ვახტანგ გორგასლის მუზარადზე გამოსახული იყო ლომი.

ა

ბასიანის ბრძოლა მოიგო ლაშა-გიორგიმ.

ქ

ქართლში ქრისტიანობა სახელმწ. რელიგიად გამოაცხადა მირიან III-მ.



ლ

ისტორიაში თავდადებულის სახე-ლით არის ცნობილი დემეტრე II.

ს

ქართლის პირველი მეფე იყო ფარნავაზი.

ო

საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო ერეკლე II.

ფინიში

შვილები დიდ მამებზე

რუბრიკას უძღვება **თამაზ კვაჭანტირაძე**

ივანე ჯავახიშვილი

– ყმაწვილებო, დღემდე ამ ჩვენს რუბრიკაში შვილები და შვილიშვილები მოგვითხრობდნენ თავიანთ მწერალ მამებზე, იმათზე, ვისი შემოქმედებაც სკოლაში ისწავლება; ამჟამად ცოტა განსხვავებული ვითარება გვაქვს – ვისაუბრებთ ივანე ჯავახიშვილზე, კაცზე, ვისაც მხატვრული ნაწარმოები არ შეუქმნია, თუმცა მან შექმნა ჩვენი ისტორიის ისეთი სახელმძღვანელო, რომელზედაც მთელი თაობები გაიზარდნენ; და, რაც მთავარია, ივანე ჯავახიშვილმა შექმნა ქართული უნივერსიტეტი, რომელიც საფუძვლად დაედო არა მარტო ქართულ საგანმანათლებლო სისტემას, არამედ – ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენასაც.

კვიცი გვარზე ხტისო და ბატონი ალექსანდრე, უმცროსი ვაჟი ივანე ჯავახიშვილისა, მამის კვალს დაადგა, ისტორიკოსი გახდა. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში სწორედ ალექსანდრე ჯავახიშვილთან მომიწია საუბარი უნივერსიტეტის დამაარსებელზე („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986 წ. №2-3); გთავაზობთ ამონარიდებს ამ პუბლიკაციიდან:

– როგორია, ბატონო ალექსანდრე, შვილის თვალით დანახული შინაურული, საოჯახო პორტრეტი ივანე ჯავახიშვილისა?

– უნდა მოგახსენოთ, რომ ივანე ჯავახიშვილი უაღრესად მთლიანი პიროვნება გახლდათ: ისეთივე იყო ოჯახში, შინაურობაში, როგორიც – გარეთ, საზოგადოებაში: ბუნებით კეთილი, გულისხმიერი, სამართლიანი, თბილი ადამიანი; ამასთანავე ჰქონდა გარკვეული პრინციპები და ჩვევები, რომელთათვისაც არასოდეს უღალატია; ამის მიხედვით იქცეოდა ის შინაც და გარეთაც. მის სულიერ პორტრეტს შეესაბამებოდა გარეგნობაც: მამა საშუალო ტანის, ხმელი კაცი იყო, ჭაღარა; ჰქონდა ძალიან სხივიანი, ნათელი, ღია ნაცრისფერი თვალები.

– მზექალა შანიძისაგან მომისმენია, ბატონ ივანეს თვალს ვერ გაუსწორებდი – მომნუსხველი მზერა ჰქონდაო.

– მონუსხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამჭოლი მზერა კი ჰქონდა.

– როგორი მეოჯახე იყო ივანე ჯავახიშვილი?

– მეოჯახის იდეალად, ბატონო თამაზ, ალბათ ჩვენთვის უცხო იმ მოდელს არ გულისხმობთ, როცა კაცს ქალის წინსაფარი აქვს აფარებული და სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავს...

– როგორ გეკადრებათ – მაგას კი არა, პირადად მე ბატონ ივანეს სასურსათო მაღაზიაშიც ვერ წარმოვიდგენ, თუნდაც სიგარეტის საყიდლად შესულს...

– სიგარეტთან დაკავშირებით მართალსა ბრძანებთ – მამა თამბაქოს არ ეწეოდა; საერთოდ იყო მეთქი თბილი და ყურადღებიანი, მათ შორის – ოჯახის წევრებთანაც. სხვის აზრს, თუნდაც ჩვენსას, პატარებისას, მუდამ ანგარიშს უწევდა; ალერსიანიც იყო, მოფერებაც იცოდა, ოღონდ – რაღაცნაირად თავშეკავებულად, რაღაცნაირი ღირსებით... ისიც მომხდარა, რომ გაგვწყრომია ჩვენს რაიმე უსაქციელობაზე, ოღონდ არასოდეს ჩვენი დასჯა სიტყვიერი დატუქსვის ფარგლებს არ გადასცდენია – არავითარი აკრძალვა, ჩვენი ბავშვური თავმოყვარეობის არავითარი შელახვა.

თავისებურ იერს აძლევდა ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობას შინაურებთან სმენის მკვეთრი დაქვეითება: რაც მამა მახსოვს, მას უკვე ძლიერ აკლდა ყურთ – ჩვეულებრივი ტონით ლაპარაკი არ ესმოდა. სმენა მას ჯერ კიდევ პეტერბურგში დაჰქვეითებია – თურმე ძლიერი ყინვების დროსაც კი ყურებიან ქუდს არ იხურავდა. ასევე არ ჰყვარებია მაშინ პოპულარული და თოვლჭყაპისათვის მიუცილებელი „კალოშები“: დედა ჰყვებოდა – ერთხელ ძალისძალად ჩავაცვი „კალოშები“, ტრამვაის, ეტყობა, ხალხი მიაწყდა და იმ ჯგლეთაში ვანოს ერთი „კალოში“ წააძვრეს. ვაგონი რომ დაძრულა, დაუძახნიათ: „Сударь, вы галошу оставила“; წაიძრო მეორე „კალოშიც“ და ისიც ძირს ჩააგდოო.

ყურთ კი დააკლდა, მაგრამ მამას მუსიკის სიყვარული არ გაჰნელებია; ჩინებული სმენა ჰქონდა, ხანდახან, მუშაობით რომ დაიღლებოდა, მიუჯდებოდა როიალს, ცალი ხელით ყურს „მოუჩრდილავდა“, ცალით კი მარტივ ხალხურ მელოდიას აწყობდა. მუსიკა ესმოდა პროფესიონალის დონეზე, განსაკუთრებით, გერმანული მუსიკის თაყვანისმცემელი გახლდათ. გაიხარებდა ხოლმე, როცა ზაქა-

რია ფალიაშვილი გვესტუმრებოდა – იგი ჩვენი სახლის პირდაპირ კათოლიკურ ეკლესიაში დადიოდა და იქ მესასაც ასრულებდა. ზოგჯერ, წირვის დაწყებამდე, მამასთან შემოივლიდა და თავის ახალ ნამუშევრებს ასმენინებდა. რახან მამას ყურთ აკლდა, ძალუმად სცემდა თითებს კლავიშებს – ერთხელ, მახსოვს, როიალს სამი სიმი დააწყვიტა...

– როგორ მონაწილეობას იღებდა ივანე ჯავახიშვილი შვილების სწავლა-აღზრდაში?

– გარეგნულად – შეუმჩნეველს, მაგრამ არსებითად – მნიშვნელოვანს; პატარაობისას ხშირად გვიამბობდა ზღაპრებს... მერე და მერე მამამ საქართველოს ისტორიული თავგადასავლის მოყოლაც დაგვიწყო. თანდათან ეს „თამაში“ ერთგვარ „სახალისო უნივერსიტეტში“გადაიზარდა: მე და კახას, ჩემს ძმას, გვიკითხავდა „ლექციებს“, შემდეგ ვითომ იბარებდა ჩვენგან გამოცდებს და ნიშანსაც გვიწერდა „მატრიკულებში“, რომლებიც საკუთარი ხელით დაგვიმზადა მუყაოსაგან. ცხადია, ფრიადები მივიღეთ, რაც 8-9 წლის ბიჭებს ძალიან გვეამაყებოდა.

– ჯავახიშვილის შვილობა გირთულებდათ თუ გიადვილებდათ სასკოლო ცხოვრებას?

– შეღავათის თვალსაზრისით ამას ჩემთვის არავითარი პრივილეგია არ მოუცია. ჩემი მასწავლებლები იცნობდნენ მამას, მაგრამ მის მიმართ პატივისცემას სწორედ იმით გამოხატავდნენ, რომ მიუკერძოებლად მიწერდნენ ნიშანს. ივანე ნიჟარაძე, მამას ახლო მეგობარი, არაფრით გამომარჩევდა სხვათაგან... თუმცა, არა – როგორც ჯავახიშვილის შვილს, უფრო მეტსა და მკაცრად მთხოვდა...

– რახან ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდით, მოუწია თუ არა ბატონ ივანეს ახლა უკვე ნამდვილ მატრიკულში დაეფიქსირებინა თქვენი ცოდნის შეფასება?

– არა, თუმცა ლექტორ-სტუდენტის ანალოგიური ურთიერთობა ჩვენ შორის მაინც დამყარდა: როცა მამამ თავის ასპირანტებთან დაიწყო სასემინარო მუშაობა, მირჩია, შენც იარეო. სემინარები გაგრძელდა მთელ სემესტრს და მე მის ასპირანტებთან ერთად ვისმენდი, თუ როგორ აანალიზებდა ივანე ჯავახიშვილი „ხელმწიფის კარის გარიგებას“ და სხვა ძეგლებს. საოცარი სკოლა იყო... იწყებოდა ყოველი ცნების, ყოველი ტერმინის ყოველმხრივი ანალიზი, ივლებოდა პარალელები ბერძნულთან, სომხურთან, სირიულთან. მამას ურყევი ავტორიტეტი არავის თრგუნავდა, პირიქით, ასპირანტები თამამად გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, უსვამდნენ შეკითხვებს. მახსოვს „იოანე და ექვთიმეს ცხოვრების“ ანალიზისას, სადაც აღწერილია ილარიონ-ბერის ულუფა, თუ რამდენი „კრასოული“ ღვინო უნდა „იხმიოს“ ბერმა, მამას ასპირანტი აპოლონ როგავა დაინტერესდა – კრასოვულში რამდენი ჩადიოდაო? – თქვენ რომ ჩაის ჭიქას უძახით, იმდენიო, ღიმილით აუხსნა მამამ.

– თვითონ თუ „იხმევდა“ ღვინოს დიდი ივანე?

– დედულეთითაც და მამულეთითაც ივანე ჯავახიშვილი ღვინის ქვეყნიდან იყო; თავადაც უამრავი უწერია ქართულ ვაზზე, ღვინის დაყენების ტექნოლოგიაზე. მაგრამ რამდენად ძლიერი იყო „თეორიაში“, იმდენად უმწეო გახლდათ პრაქტიკაში: ვეჭვობ, რომ მამას თუნდაც შეზარხოშების დონეზე ოდესმე დაელიოს ღვინო. მახსოვს, მუდმივი დიეტისგან დასუსტებულს როცა ექიმმა კონიაშვილმა ყუათის მისაცემად მცირე დოზით შავი ღვინო დაუნიშნა, ისეთი სახით სვამდა მას კოვზით, თითქოს ქინა დაელიოს. ხშირად უთქვამს – ვისაც მეცნიერული მუშაობა უნდა, მან წვეთი არ უნდა დალიოსო. ამ წესს განუხრელად მისდევდა, თუმცა იცოდა, რომ გამონაკლისებიც არსებობენ.

– ბატონო ალექსანდრე, ალბათ, გახსოვთ ერთი ცნობილი კაცის მიერ ჩამოყალიბებული წესი, რომელიც მან კერძო ბარათში გამოთქვა: **„ბატონო ლაფარგ! ღვინისათვის მადლი მომიხსენებია. ღვინის ქვეყნის შვილმა და თავადაც ძველმა მევენახემ, მე ვიცი ღვინის ყადრი. ეგ კი არა, მოხუცი ლუთერისა არ იყოს, მეც ისე მგონია, რომ ვისაც ღვინო არ უყვარს, ის ვერაფერში ივარგებს“...**

– მახსოვს, მაგრამ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, კარლ მარქსმა ლუთერას ამ სალაღობო წესს ასეთი შენიშვნაც მიადევნა: **„ყოველ წესს აქვს გამონაკლისი“...**

– ბატონო ალექსანდრე, დედათქვენის, ანასტასია ორბელიანის, შესახებ ფართო საზოგადოებამ მხოლოდ ის იცის, რომ იგი ერეკლე მეფის შვილთაშვილი იყო, არადა, ჩამომავლობის გარდა მას სხვა ღირსებებიც ამშვენებდა...

ივანე ჯავახიშვილი ვაჟიშვილებთან, კახასა და ალექსანდრესთან და მეუღლესთან, ანასტასია ორბელიანთან.

– დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ღვაწლზე რა მოგახსენოთ, მაგრამ დამსახურება კი უდავოდ მიუძღვის საზოგადოების წინაშე იმით, რომ თავი შესწირა მამასა და მის მეცნიერულ-საზოგადოებრივ საქმიანობას. ივანე ჯავახიშვილი მუდმივად საჭიროებდა განსაკუთრებულ მზრუნველობას. რაც მამა მახსოვს, მას განუწყვეტლივ აწუხებდა კუჭ-ნაწლავის ტკივილები; იცავდა უსასტიკეს დიეტას, გამუდმებით შიმშილობდა – უშაქრო ჩაი, გაწურული მაწონი, გამხმარი პური, უცხიმო წიწიბურა ან კარტოფილის ფაფა შეადგენდა ივანე ჯავახიშვილის მენიუს. ადრე მამა მოწამლულა და მას შემდეგ თითქმის ყოველნაირი საკვები სწყენდა. ამდენი შიმშილობისგან ორგანიზმი სრულიად გამოიფიტა და ექიმმა აიძულა მამას უფრო ყუათიანი საკვები მიეღო, კერძოდ, შავი ღვინო, ტვინის კატლეტი და ქორფა მწვანილი. ღვინოზე უკვე მოგახსენეთ – პატარა ბავშვივით კოვზით ძლივს ასმევდა დედა. ტვინის შოვნაც ჭირდა, დედაჩემს იგი ხორცით მოვაჭრე ერთი კერძო დუქნიდან მოჰქონდა. ყასაბი ბუზღუნებდა თურმე – ვა, ყოველდღე ტვინი, ტვინი... ვინა გყავთ, ქალბატონოჯან, ეგეთი უტვინო სახლშიო. მოკლედ, მამა უმძიმესი მოსავლელი გახლდათ. დედას საზრუნავი იყო ჩვენს სახლში მაცხოვრებელი უზარმაზარი სანათესაოც; ისიც დილიდან გვიან ღამემდე ჯარასავით ტრიალებდა; ხელები დახეთქილი ჰქონდა ცივ წყალში რეცხვისგან. მაშინ გამუდმებული გაჭირვება იყო პურისა, შაქრისა, მარილისა, ასანთისა, ნავთისა... ჩასაცმელ-დასახურზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი... უბოლოო რიგებში დგომა მალე ჩვენც – ბავშვებსაც – მოგვიწია. დედას პალტო აჭრელებული იყო ცარცით დაწერილი ნომრებით: რიგებში აწერდნენ ხოლმე ზურგზე... მოკლედ, გვიჭირდა, ძალიან გვიჭირდა. რადგან ყურთ აკლდა, დედა ხმამაღლა ელაპარაკებოდა ხოლმე მამას და ამიტომ უნებურად გავმხდარვარ მოწმე, თუ რა გაჭირვებით ანაწილებდნენ მშობლები ხელფასს ისე, რომ როგორმე მიეღწიათ შემდეგ ხელფასამდე. მამა წუხდა, რომ დედა უპალტოოდ იყო, რომ კბილებიც გაუფუჭდა, მკურნალობას კი ვერ ახერხებდა – ჰონორარი მაქვს ასაღები, გადადე ფული კბილებისთვის, ნუ დადიხარ ასე, ცოტა საკუთარ თავსაც მიხედეო. დედა უმტკიცებდა, შენი ჰონორარი ყველაფერს ვერ გასწვდება, რა მემკურნალება, როცა ბავშვები უფეხსაცმელოდ არიანო. მართლაც ერთმანეთის გამონაცვალში ვიზრდებოდით. მამა უაღრესად სუფთა, ფაქიზი კაცი იყო, ტანსაცმელს წლობით ისე ატარებდა, ნახმარობისა თითქმის არაფერი ეტყობოდა. ზამთრის პალტო 25 წელი ატარა. ეს პალტო, თქვენ წარმოიდგინეთ, შემდეგ კახასაც ეცვა და მეც...

– ეტყობა შინაგანსა და გარეგნულ სიფაქიზეს შორის უფრო ღრმა კავშირია, ვიდრე ერთი შეხედვითა ჩანს...

– მართალსა ბრძანებთ; – დედა იტყოდა ხოლმე, ვანოს ნახმარი და უხმარი წინდები ერთმანეთისგან ვერ გამირჩევია, არ ვიცი, გასარეცხებში რომელი ჩავყაროო. მამას პარიკმახერიც დედა იყო, იგი კრეჭდა ხოლმე და წუხდა, ეჩვენებოდა – უხეიროდ გამომდისო...

– ცოტა ძნელი წარმოსადგენი კია ივანე ჯავახიშვილის მეუღლე – ერეკლე მეფის შვილთაშვილობაზე რომ არაფერი ვთქვათ – თუნდაც საოჯახო პარიკმახერის როლში ან ნავთის რიგში მდგომი.

– დედაჩემს ბედნიერებას ანიჭებდა ასეთი თუნდაც წვრილმანი მომსახურება მეუღლისა – ჩინებულად აცნობიერებდა, რასაც ხმარდებოდა ის წუთი, დღე და წელიწადი, რომელსაც თავისი დროისა და შრომის ფასად გამოუთავისუფლებდა ივანე ჯავახიშვილს. მამას გარდაცვალების შემდეგ დედამ თითქმის ოცდაათ წელს იცოცხლა და – მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია ჩვენზე ზრუნვა (აღზარდა შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები), ის მთელი ამ ხნის განმავლობაში მაინც უფრო იქ იყო, თავის მეუღლესთან... დაგვზარდა კი ამ პრინციპით: ივანე ჯავახიშვილის შვილობა თქვენთვის ვალი უნდა იყოს და არა სარგებელი.

მხატვარი
ედუარდ ამგოკაძე

მეგობრები

რობერტ მესხი



მეგობართან გადაწყვიტეს
წასვლა კუმ და ლოკოკინამ.
კუ ეძახის: — სად ხარ, გოგო,
კიდევ გძინავს?
წამოდექი, თორემ ზღარბთან
ზეგ კი არა, ჩავალთ მაზეგ,
ფანჯრიდან რომ გავიხედე,
მზე ასულა შუბის ტარზე.
უპასუხა ლოკოკინამ:
— სახლები ხომ ზურგით დაგვაქვს,
რას დაეძებ დროს და ამინდს?
კუ ხარ, ვიცი, მაგრამ ზღარბთან
ჩემზე სწრაფად მიხვალ მაინც.
გაიკვირვა კუმ: — ამითი
რისი თქმა გსურს, ლოკოკინავ?
— მოდი, ზურგზე შემისვი
და ერთად მივალთ.

კუმ იარა, კუმ იარა,
ზურგით მიჰყავს მეგობარი —
ბარი, მთა და ისევ ბარი!
უცებ ხედავს, მოდის ზღარბი.
ზღარბს რა მოაქვს? — დიდი ტორტი!
— სად მიდიხართ?
— შენთან, ზღარბო!
— მე კი თქვენთან მოვდიოდი...
იქვე ტუეში, მუხის ჯირკთან,
დაჯდა სამი მეგობარი.

მარტო ამ ტორტს რა შეჭამდა? —
ერთად უფრო ტკბილიც არის.
დაბადების დღე არ ჰქონდა
არც ერთ მათგანს, მახსოვს ნათლად.
სულ უბრალოდ, ძველ მეგობრებს
ერთმანეთი მოენატრათ.

გამოცანები

მხატვარი
როენა შელეგია

ირმა მალაციძე



მისთვის ძლიერ დაბალია
მატარებლის გვირაბი.
აბა, იქ რას შეეტევა
გრძელკისერა . . .

წვიმის შემდეგ რომ ეფლება
ცის კაბადონს სარტულად,
შვიდფერა და ლამაზია,
რა ჰქვია? . . .

ზღვის ტალღებში დანავარდობს,
ნეტავ, საით უდევს გეზი?
შელვარებს ფარფლები და
ლაჟვარდით „სუნთქავს“ . . .

ფრინველია, კუდმარაო
მოხატული გასდევს ქარგი,
ამაყი და უელმაღალა,
მშვენიერი . . .



გრძელი კუდით ბუზებს აფრთხობს,
ასჩეჩია ქოჩორი,
ვირის ნაშიერს რა ჰქვია,
აბა, მითხარ — . . .

სიმიანი საკრავია,
უკრავს თეო, გიო, ნინო.
ხემით სიმს თუ შეეხები,
აჟღერდება . . .

ა მ ო ფ ა ნ ი

თამარ კერვალიშვილი



– სამი და ერთი რამდენია? – ჰკითხა მასწავლებელმა მოწაფეს.

მოწაფემ არ იცოდა და ვერ უპასუხა. მაშინ მასწავლებელმა იფიქრა, დავეხმარებიო და უთხრა:

– კარგი, ვთქვათ, მოგეცი სამი მტრედი და მერე კიდევ ერთი დაგიმატე. სულ რამდენი მტრედი გეყოლება?

– ხუთი.

რატომ?

– იმიტომ, რომ შინ კიდევ ერთი მყავს.





ვისწავლოთ ხატვა

1. შემოავლე ფანქრით ხაზი კონტურს;
2. შემოავლე ფანქრით ხაზი კონტურს და დაასრულე ნახატი;
3. თვითონ დახატე თუთიყუში უჯრებში წინა ნახატების მიხედვით;
4. ახლა კი სცადე, სუფთა მინდორზე დახატო იგივე ფიგურა, მერე კი გააფერადე.





მანანა ჯოხარიძე

რა ესიზმრა ყვავ შაკოს

ყვავი შაკო ხის ტოტზე ჩამომჯდარიყო და ამთქნარებდა. მერე ნელ-ნელა თვალები მილულა, ჩაეძინა და სიზმარიც ნახა. ნახა, ვითომ მტრედივით თეთრი ბუმბული და მშვენიერი ცისფერი ბოლო ჰქონდა. ისეთი ლამაზი იყო, მის დანახვაზე სხვა ყვავები შურით სკდებოდნენ. ახლა ხმას აღარ იკითხავთ? ის რომ სიმღერას შემოსძახებდა, მოსასმენად ტყის ყველა მგალობლები წამსვე იქ გაჩნდებოდა. თვით ბულბულიც მოფრინდებოდა და განაბული უსმენდა.

შაკო მზეს უმღეროდა, მზისკენ გაფრენა სურდა.

– ნუ წახვალ, ნუ!.. – ეხვეწებოდნენ ჩიტები, – იქიდან ჯერ არავინ დაბრუნებულა.

– დაიწვები, დაიწვები, – აფრთხილებდა ბებერი ბუ.

მაგრამ შაკოს არაფრის გაგონება არ სურდა.

– მივდივარ, მორჩა და გათავდა! დაე, დავიწვა! ჩემი გული მზეს ეკუთვნის და მხოლოდ მასთან ვიქნები ბედნიერი! – ეს თქვა, ამაყად მიმოიხედა, ფრთები გაშალა და ზეცაში არწივივით აიჭრა.

– თავს გაუფრთხილდი! თავს გაუფრთხილდი! – მოესმა აქეთ-იქიდან და მერე, თანდათან, ყველა მიჩუმდა. ქვემოთ დარჩა ტყე, მდინარე, დედამიწა.. ყველაფერი...

მხატვარი
ელენე ვარამაშვილი

მიფრინავს შაკო ზემოთ, ზემოთ და ხედავს, საჰაერო ბურთი ეშვება. ბურთზე დაკიდებულ კალათაში სათვალიანი კაცი ზის და გაკვირვებული შემოჰყურებს.

– საით გაგიწევია? – ჰკითხა კაცმა.

– მზისკენ!

– ყვავს მზეზე რა უნდა?

– მე თეთრი ყვავი ვარ!

– სულ ერთია, დაიფერფლები!

– თუნდაც დავიფერფლო! მე ვიქნები ერთადერთი ყვავი, რომელიც მზეს მისწვდა! – შაკომ უფრო მძლავრად გაიქნია ფრთები და წავიდა მაღლა, მაღლა, ცისკიდურისკენ. აი, ღრუბლებსაც ასცდა... ... უეცრად გუგუნი შემოესმა. მიიხედა... ვეებერთელა თვითმფრინავია, ვერცხლისფერი, ლამაზი. ფანჯრებში ხალხი მოჩანს, მის დანახვაზე შეშფოთებულები ხელებს იქნევენ და რაღაცას ყვირიან. იცის შაკომ, რასაც ყვიარიან: – დაიწვები! დაიწვები! – იცის, მაგრამ გზას მაინც აგრძელებს.

მალე ღრუბლებიც შორს მოიტოვა და მზეს საკმაოდ მიუახლოვდა. სულ ცოტა დარჩა, სულ ცოტა, მაგრამ... უჰ, როგორ ცხელა! როგორ წვავს მისი სხივები... შაკოს ფრთები შეეტრუსა, სახე აეწვა და თითქმის ვეღარაფერს ხედავს. უჭირს, უჭირს, ჯოჯოხეთის ცეცხლი ეკიდება, მაგრამ მაინც არ ეპუება; მიიწევს წინ, წინ ღადღადა მზისკენ...

უცებ რაღაც მოხდა – შაკოს სხეული ტყვიასავით დაუმძიმდა, ერთბაშად ძალა გამოელია, – მიშველეთ! – ესღა მოასწრო და გულშეღონებული თავდაყირა წამოვიდა.

როცა გონს მოვიდა, პარაშუტზე ეგდო ცოცხალმკვდარი და ნება-ნება ირწეოდა. პარაშუტი ქვემოთ ეშვებოდა, მიწას

მხატვარი
თეა მიქაია

ეს თავსატეხი იმათთვის არის, ვინც მიმატება-გამოკლება უკვე კარგად იცის და ლოგიკური ამოცანების ამოხსნა უყვარს.
საჭიროა, ციფრები 1-დან 9-მდე ჩაწერო კუბიკებში ისე, რომ ყველა იმ სამი კვადრატის ჯამი, რომლებიც ისრებით უკავშირდება ერთმანეთს, ტოლი იყოს.





უახლოვდებოდა, მაგრამ მოულოდნელად ცალ მხარეს დაიზნიქა. შაკომ თავი ვერ შეიმაგრა, მოსრიალდა და... ტყაპ!..

თვალები რომ გაახილა, ცაცხვის ტოტზე ეკიდა ჩვარივით და ძლივსღა სუნთქავდა. ფრთების ფართხუნით წამოვჯდა, მიმოიხედა, – „ნუთუ ცოცხალი ვარ?“ – გაიფიქრა და ზედ დაიხედა... დაიხედა და შეშინებულმა შეჰყვირა:

– ვაიმე! მზეს როგორ გავუშავებივარ?!.

და სწორედ ამ დროს მიხვდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო; მიხვდა და სიხარულით ლამის გადაირია.

როცა დამშვიდდა, ცაცხვის სურნელოვან ყვავილს დაყნოსა და ფიქრი განაგრძო: „რა კარგია, რომ გადავრჩი! არა, მაინც რა მინდოდა მზეზე? ხანდახან ეს რა სულელური აზრები მომდის თავში?!“

მერე კმაყოფილმა ფრთები შეიბერტყა და ყვა�ა... ყვაااا...-ს ძახილით თავისი ბუდისაკენ გაფრინდა.

მხატვარი
როენა შელეგია

კარგად დააკვირდი ნახატს და შეეცადე, ყველა დეტალი თავის ადგილას დააბრუნო.

1 2 3 4 5 6 7 8

ეუკალიპტი ფრინველები

მეკარვია (Ptilonorhynchidae)
სამეფო – ცხოველები
ტიპი – ქორდიანები
კლასი – ფრინველები
რიგი – ბეღურასნაირნი
გვარი – მეკარვიასებრნი

დღეს გიამბობთ ერთ პატარა ჩიტზე, რომელიც ავსტრალიაში, ახალ გვინეასა და ახლომდებარე კუნძულებზე ბინადრობს. გარეგნულად ეს ჩიტი არაფრით გამოირჩევა ბეღურათა ოჯახის სხვა წარმომადგენლებისგან, მაგრამ ნიჭი, რომელიც ამ საოცარ არსებას ბუნებამ უწყალობა, ადამიანსაც შეშურდება – იგი დახელოვნებული მშენებელი და უზადო გემოვნებით გამორჩეული დიზაინერია.

წარმოიდგინეთ ევროპელების გაკვირვება, როცა ავსტრალიის მიწაზე პირველად წააწყდნენ მორთულ-მოკაზმულ კარვებს და გაარკვიეს, რომ ეს ნაგებობები ადგილობრივ მკვიდრთა ხელით კი არა, ერთი ბეწო, გარეგნობით არაფრით გამორჩეული ჩიტების ნისკარტით იყო შექმნილი.

ამ ფრინველის სახელიც მის საოცარ ნიჭს უკავშირდება: მეკარვიასებრნი – ასე ეწოდება დიზაინერ ჩიტს ქართულად. მეკარვიასებრთა ოჯახში სულ 22 სახეობაა. მათი სხეულის სიგრძე 23-35 სმ-ს არ აღემატება. ბუდეს იკეთებენ ხეზე ან ბუჩქებში, მაგარამ კარავი სრულიად დამოუკიდებელი ნაგებობაა – 2 მეტრი სიმაღლის კონუსური ფორმის ფანჩატურს მამალი მეკარვია ფიჩხითა და ჩალის ღერებით აშენებს მეწყვილის მოსახიბლავად.

„სიყვარულის კოშკი“ – ასე უწოდეს მეცნიერებმა მეკარვიათა ულამაზეს ფანჩატურებს, რომლებიც მნახველს დახვეწილობითა და სიფაქიზით აცვიფრებს. მამალი მეკარვია შეწყვილებამდე კარგა ხნით ადრე იწყებს მზადებას (შეწყვილების პერიოდი სექტემბრიდან იანვრამდე გრძელდება): ჯერ კარავს აგებს, მერე კი კედლებს შიგნიდან „ბათქაშით“ ლესავს. ბათქაშს იგი ხილის რბილობისა და ნახშირისგან ამზადებს, ფუნჯად კი ხის ქერქს იყენებს. ამის შემდეგ ფრინველი იწყებს შენობის მოსართავების შეგროვებას – ფოთლები, ბუმბული, ქვა, ნიჟარა, მინის ნამსხვრევები, ყვავილები... გამოდგება ყველაფერი, რაც ბზინავს და თვალს იტაცებს. მეკარვია საათობით დასტრიალებს თავს ნაგებობას და მხატვრულად აფორმებს არა მარტო ფანჩატურს, არამედ მასთან მისასვლელ ბილიკსაც: ყველა ნივთს გულდასმით მიუჩენს ადგილს, თანამიმდევრობით, შეხამებულად დააწყობს და ქმნის საოცარ ექსპოზიციას, მერე კი მომჭკნარ ყვავილებსა და ფოთლებს ყოველდღე ცვლის ახლით, რათა „სიყვარულის კოშკს“ პეწი არ დაეკარგოს .

ხშირად ერთი მამალი მეკარვია თავს ესხმის მეორის კარავს, უნგრევს ნაგებობას ან ჰპარავს მოსართავ ნივთებს.

იცით თუ არა, რომ...

დედალი მეკარვია სამი სტუმრობის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას: პირველად ის ჩუმად, მამლის იქ არყოფნის დროს მიდის კარვის ადგილზე და ათვალიერებს; მეორედ – მშენებლობის დამთავრების შემდეგ ეწვევა იქაურობას, მესამედ კი, უკვე საბოლოოდ დარწმუნებული თავის არჩევანში, მიდის ფანჩატურთან და ელოდება, რა სიურპრიზს დაახვედრებს მეწყვილე. მამალი ჩიტი ამ დროს თავს არ ზოგავს, იწყებს ცეკვას, გალობას, სათითაოდ იღებს ნისკარტით ყველაზე ძვირფას ნივთებს და ფერხთით უწყობს სატრფოს, მოკლედ, ნამდვილ შოუს აწყობს.

მეკარვიათა უმეტესობა მოსართავად ცისფერ ნივთებსა და ყვავილებს ირჩევს. შესაძლოა იმიტომ, რომ ამ გვარის ბევრ სახეობას ცისფერი თვალები აქვს.

ჯადოსნური ფიცარი

შეავსე კროსვორდი, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ სიტყვები
უნდა ჩაიწეროს საათის ისრის მიმართულებით.

მხატვარი
ლაშა სულაკაური

დილის ფოტოკონკურსი

შემოდგომა დადგაო...

ვინ შეჭამა ჩემი ფაფა?

არ გეგონოთ თოჯინა, მეც თქვენსავით ბავშვი ვარ.

დიჯეი გისმენთ!

ჭუპა-ჭუპა!
წყალი მალე!
თავი უკვე დავიბანე.

წიგნის ჭიამაია

ფანმთრის საბოლოოდ

ამ ჩრდილებიდან ერთ-ერთი ფიგურის ზუსტი ასლი არ არის.
აბა, თუ იპოვი?!

მხატვარი
ნანა სანაია

ჟურნალი „დილა“ კონკურსისთვის მიიღებს სიუჟეტურ ფოტოებს. კონკურსის პირობები იხილეთ facebook-ის გვერდზე – **საბავშვო გამომცემლობა დილა**

ყდაზე ნახატი: მალხაზ კუხაშვილის
გამომცემელი: ააიპ საბავშვო მწერლობის განვითარების ასოციაცია
ტელ.: 272-97-67; 293-69-77
http://www.dila.ge, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com
ფასი: 2 ლარი